N 4/7-2018

30.07.2018

INVESTORS COUNCIL

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ **დავით სერგეენკოს**

ასლი: საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ **მამუკა ბახტაძეს**

ასლი: საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ **ივანე მაჭავარიანს**

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ **დავით ზალკალიანს**

ასლი: ინვესტორთა საბჭოს წევრებს

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, არალეგალური შრომითი ემიგრაცია საქართველოსთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან ამ პროცესის არასათანადო რეგულირება წარმოშობს არალეგალური მიგრაციისა და მასში ჩართული მიგრანტების უფლებების დარღვევის საშიშროებას, რაც, შესაძლოა, თავშესაფრის მოთხოვნის/არამართებულად გამოყენების საბაბიც გახდეს. ყოველივე ეს კი, ზრდის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების რისკებს.

სწორედ ამ რისკების შემცირებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით, 2018 წლის 21 მარტის ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანხმად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინვესტორთა საბჭოს წევრი ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რიგი რეკომენდაციები, რომელთაც გიგზავნით.

დანართი: 2 გვ.

პატივისცემით,

მარიამ ზ[illegible]

მარიამ მეღვინეთუხუცესი

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

Merani Business Centre, 6th floor, 31A, Griboedovi Str.
0108, Tbilisi, Georgia

ინვესტორთა საბჭოს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები

არსებული სიტუაცია და შესაძლებლობები

არალეგალური შრომითი ემიგრაცია საქართველოსთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს, როგორც მასში ჩართული მიგრანტების უფლებების დარღვევის, ტრეფიკინგის რისკებისა და ქვეყნისათვის ეკონომიკური დანაკარგების ზრდის, ასევე თავშესაფრის არამართებულად მოთხოვნის გამო ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხის თვალსაზრისით. ამიტომ მისი რეგულირება და ეფექტიანობის ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2015 წელს მიღებული იქნა კანონი "შრომითი მიგრაციის შესახებ" და შრომითი მიგრაციის რეგულირება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციად განისაზღვრა, *დღემდე არ არსებობს ამ ფუნქციების რეალურად განხორციელებისთვის საჭირო მექანიზმები, ორგანიზაციული სტრუქტურა და ადამიანური რესურსები.*

2013-2018 წლებში საერთაშორისო ორგანიზაციების (GIZ, IOM) პროექტების ფარგლებში განხორციელდა/მიმდინარეობს დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მოდელების პილოტირება. პროექტების შედეგები ადასტურებს ამ სფეროში ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს. ეს გამოცდილება ქართული სახელმწიფოს მიერ წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამასთან, ხსენებული ორგანიზაციები გამოხატავენ მზაობას - დაეხმარონ პროფილურ სახელმწიფო უწყებებს შესაბამისი კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებით. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა ევროპის რიგ ქვეყნებთან (ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ლიტვა, ესპანეთი, პორტუგალია) დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის. რიგი ქვეყნები კი, უკვე გამოხატავენ თანამშრომლობის მზაობას.

გარდა ამისა, *საქართველოს ევროკავშირთან ნაკისრი აქვს რიგი ვალდებულებები დროებითი ლეგალური (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის დანერგვისა და ხელშეწყობის კუთხით,* რომლებიც განსაზღვრულია ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტებში, მათ შორის: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014 წ), ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და მისი გრძელვადიანი დავალებები (2013 წ.), აგრეთვე, ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივი დეკლარაცია „პარტნიორობა მობილობისათვის“ (2009 წ.) და ა.შ. ასევე ეს ვალდებულება გაწერილია გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

რა არის გასაკეთებელი

პირველ რიგში უნდა შეიქმნას ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც განახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში. კერძოდ, მიზანშეწონილია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შემადგენლობაში *შეიქმნას შრომითი მიგრაციის სამმართველო (მინიმუმ 5 კაცის შემადგენლობით), რომლის კომპეტენციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:*

- შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფა;

- სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიკაცია და ორმხრივი შეთანხმების პროექტების მომზადება;
- საზღვარგარეთ დასაქმების მსურველი სამუშაოს მაძიებლების ინფორმირება, კონსულტირება, რეგისტრაცია და შესაბამის მონაცემთა ბაზის წარმოება;
- უცხოელი დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად სამუშაო ძალის წინასწარი შერჩევა;
- საქართველოში შრომითი იმიგრაციის რეგულირების შესახებ წინადადებების მომზადება, დასაქმებული იმიგრანტების აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა/განვითარება;
- საზღვარგარეთ დასაქმების ხელშემწყობი სააგენტოებისა და კერძო პირების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მიღება, სისტემატიზაცია და ანალიზი;
- შრომითი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისა და ევროპული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების მექანიზმების შემუშავება;
- შრომითი მიგრაციის რისკების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და მათი შემცირების წინადადებების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები

სახელმწიფოსგან ცირკულარული მიგრაციის ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში, საქართველოსთვის მოსალოდნელი დადებითი შედეგებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- ✓ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შენარჩუნების გარანტია და „შეჩერების მექანიზმის“ ამოქმედების ალბათობის მინიმუმამდე დაყვანა;
- ✓ არალეგალური მიგრაციის ლეგალურით ჩანაცვლება, ეკონომიკური დანაკარგებისა და სოციალური რისკების შემცირება, შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვა;
- ✓ შრომითი ემიგრანტების შემოსავლების ზრდა (ლეგალური დასაქმების შემთხვევაში მათი ხელფასი არ უნდა იყოს ადგილობრივი მომუშავის ხელფასზე ნაკლები) და ფულადი გზავნილების მატება (რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას უწყობს ხელს);
- ✓ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების, ახალი საწარმოო და ორგანიზაციული უნარების იმპორტი სამშობლოში დაბრუნებისას.

ავტორები: „ევროკავშირის ქვეყნებში დროებითი ლეგალური დასაქმების ხელშეწყობის“ სამუშაო ჯგუფი. წევრები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროების; მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინვესტორთა საბჭოს წევრი ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები.